საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

თბილისი 0114, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

8 Rustaveli Avenue, 0114,Tbilisi,Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების გიორგი გაბუნიასა და ნოდარ ტურძელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა პირველი მოსმენისათვის განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების გიორგი გაბუნიასა და ნოდარ ტურძელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონების პროექტები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/24; 10.02.2025) და აღნიშნავს, რომ მათ მიმართ აქვს შემდეგი შენიშვნები:

I. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის მიმართ:

1. კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მიხედვით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლს ემატება „ჰ[25]“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენს „კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის“ ტერმინსა და მის განმარტება. ამ ნორმის თანახმად, კულტურულ-შემოქმედებით რადიომაუწყებლობად მიიჩნევა კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული რადიომაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას, საზოგადოების ფართო ფენებისათვის კულტურის სფეროსთან დაკავშირებული შემეცნებითი და მიმდინარე ამბების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ამასთანავე, კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების ახალი რედაქციებით ჩამოყალიბებას, რომელთა მიხედვით, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი შესაძლებელია იყოს კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულება (როგორც ადმინისტრაციული ორგანო ან როგორც ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი).

მოცემულ ნორმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ან არასახელმწიფო ორგანიზაცია, დაწესებულება ან საწარმო, აგრეთვე ასოციაცია, შემოქმედებითი კავშირი და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც ეწევა კულტურულ და შემოქმედებით მოღვაწეობას, წარმოადგენს „კულტურის დაწესებულებას“. შესაბამისად, დამეტებით სამართლებრივ მსჯელობას საჭიროებს საკითხი იმის შესახებ, კანონპროექტით გათვალისწინებული „კულტურულ-შემოქმედებით დაწესებულებაში“ იგულისხმება „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „კულტურის დაწესებულება“ თუ მასში შეიძლება მოიაზრებოდეს ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული ორგანოც, რომელიც შესაძლოა მსგავს საქმიანობას ახორციელებდეს (ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანოს“ ტერმინი ორგანოთა/დაწესებულებათა/პირთა ფართო წრეს მოიცავს).

2. კანონპროექტი დასახვეწია რედაქციული და სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით.

II. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონების პროექტების მიმართ იურიდიულ დეპარტამენტს სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია. ამასთანავე, აღნიშნავს, რომ კანონპროექტები დასახვეწია სამართლებრივი ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: ეკა მელიქიშვილი (წამყვანი სპეციალისტი)